

ბეჰმონი 

2023

შპს ბეჰმონი ინჟინერია და მშენებლობა

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	14
5. ძირითადი საშუალებები	15
6. მარაგები	16
7. საგადასახადო აქტივი	16
8. გადახდილი ავანსები	16
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
10. ფული და ფულის ეკვივალენტები / შეზღუდული ფულადი სახსრები	16
11. საწესდებო კაპიტალი	16
12. მიღებული სესხები	17
13. მიღებული ავანსები	17
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
15. შემოსავლები.....	18
16. რეალიზაციის თვითღირებულება	18
17. თანამშრომელთა კომპენსაცია	18
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
19. საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება / (ზარალი)	19
20. ფინანსური ხარჯი	20
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	20

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ბემონი ინჟინერია და მშენებლობის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ბემონი ინჟინერია და მშენებლობის“ (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ამავე თარიღით დასრულებული წლებისთვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს - ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

31 მაისი, 2024

თბილისი, საქართველო



შპს ბემონი ინჟინერია და მშენებლობა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1,962,783	2,005,879
არამატერიალური აქტივები		43,206	1,584
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,005,989	2,007,463
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	3,729,119	34,537
საგადასახადო აქტივი	7	184,723	171,961
გადახდილი ავანსები	8	11,186,283	87,508
სავაჭრო მოთხოვნა	9	700,816	516
შეზღუდული ფულადი სახსრები	10	1,529,505	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	633,845	5,235,404
სულ მოკლევადიანი აქტივები		17,964,291	5,529,926
სულ აქტივები		19,970,280	7,537,389
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	471,200	210,860
გაუნაწილებელი მოგება		3,115,572	747,238
სულ კაპიტალი		3,586,772	958,098
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	1,882,513	1,891,332
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,882,513	1,891,332
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხის მიმდინარე ნაწილი	12	163,547	31,920
მიღებული ავანსები	13	12,656,167	679,729
სავაჭრო ვალდებულებები	14	1,681,281	3,976,310
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		14,500,995	4,687,959
სულ ვალდებულებები		16,383,508	6,579,291
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		19,970,280	7,537,389

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 მაისს:

გიორგი მირცხულავა
დირექტორი

ნიკა სესკურია
ფინანსური დირექტორი

9-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბემონი ინჟინერია და მშენებლობა

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	15	10,306,589	13,889,363
გაყიდული სერვისის თვითღირებულება	16	(5,075,455)	(12,167,368)
საერთო მოგება		5,231,134	1,721,995
ხელფასები და კომპენსაცია	17	(1,604,600)	(397,064)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(803,450)	(304,547)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		2,823,084	1,020,384
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება / (ზარალი)	19	(30,141)	(183,178)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		164,931	365
ფინანსური ხარჯი	20	(402,758)	(81,120)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(186,782)	(11,597)
მოგება დაბეგვრამდე		2,368,334	744,854
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		2,368,334	744,854
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,368,334	744,854

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 მაისს:

გიორგი მირცხულავა

დირექტორი

ნიკა სესკურია

ფინანსური დირექტორი

9-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბემონი ინჟინერია და მშენებლობა

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	11	16,080	2,384	18,464
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	744,854	744,854
ფულადი შენატანი კაპიტალში	11	194,780	-	194,780
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	11	210,860	747,238	958,098
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	2,368,334	2,368,334
ფულადი შენატანი კაპიტალში		260,340	-	260,340
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის		471,200	3,115,572	3,586,772

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 მაისს:

გიორგი მირცხულავა
დირექტორი

ნიკა სესკურია
ფინანსური დირექტორი

9-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბემონი ინჟინერია და მშენებლობა


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის


(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		8,997,710	9,883,284
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(9,045,699)	(10,198,190)
გადახდილი გადასახადი		(1,953,799)	(2,665,566)
წინასწარ გადახდილი თანხები		(14,938,713)	(288,416)
წინასწარ მიღებული ავანსები		16,433,814	7,329,144
თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი		(1,836,213)	(351,491)
მომსახურე ფიზიკურ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	9	(645,951)	(60,743)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(2,988,851)	3,648,022
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(190,593)	(286,421)
არასაოპერაციო შემოსავალი		152,578	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(38,015)	(286,421)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ლიზინგის პროცენტის დაფარვა		(272,223)	(48,645)
კაპიტალში შენატანი	11	260,340	194,780
სესხის მიღება		-	1,927,312
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		(11,883)	2,073,447
საკუროს სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	20	(89,396)	(207,181)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		(2,982,658)	5,435,048
შეზღუდულ ფულად სახსრებში გადატანა	10	(1,529,505)	-
ფულადი სახსრები საანგარიშგებო წლის დასაწყისისთვის		5,235,404	7,537
ფულადი სახსრები საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის	10	633,845	5,235,404

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 მაისს:


გიორგი მირცხულავა

დირექტორი


ნიკა სესკურია

ნიკა სესკურია

ფინანსური დირექტორი

9-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბემონი ინჟინერია და მშენებლობა (შემდეგში - „კომპანია“, ს/ნ 405173299) დაარსდა 2016 წლის ოქტომბერში. კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, იური გაგარინის ქუჩა #24.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საინჟინრო და სამშენებლო მომსახურების გაწევა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გიორგი მირცხულავა ფლობს კომპანიის 100%-ს. ასევე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გიორგი მირცხულავა ფლობდა კომპანიის 100%-ს.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მიხედვით, რაც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა ის სტანდარტები, ინტერპრეტაციები და პოლიტიკა, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მიხედვით, რაც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით თუ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში სხვაგვარად არ არის მითითებული.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

ხელმძღვანელობამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და კომპანიის მაჩვენებლების გათვალისწინებით დარწმუნებულია კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა პერიოდზე, თუ სხვა რამ არაა მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს, მათ შორის კაპიტალის ინსტრუმენტებს.

მპს ბემონი ინჟინერია და მშენებლობა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს კომპანიის ჩვეული საქმიანობისას მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. შემოსავალი გამოხატავს გაყიდვების ნეტ ღირებულებას - დღგ-ს, ფასდათმობისა და უკან დაბრუნების გარეშე.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება; და მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს; და
- დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

კომპანია სამშენებლო ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ შესრულების სტადიას განსაზღვრავს ისეთი მეთოდით, რომელიც ყველაზე საიმედოდ შეფასებას შესაძლებელია. კომპანიას არჩეული აქვს სამუშაოების დასრულების ფიზიკური პროპორციულობის მეთოდით.

როდესაც გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის საიმედოდ შეფასება ვერ ხერხდება, შემოსავლები აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობის ანაზღაურებადი ხარჯებიცაა გაწეული საანგარიშგებო თარიღისათვის.

კომპანია წარმოადგენს მარწმუნებელს მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში და ამონაგებს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით, გარდა რწმუნებულის ოპერაციებისა, როდესაც იგი უზრუნველყოფს სერვისების მიწოდებას მესამე მხარის საშუალებით. ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რეალიზაციები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზეა წარდგენილი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისა და დაქირავებით მომუშავეთაგან.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და გადასახადს, ტრანსპორტირების, დატვირთვის და სხვა დანახარჯებს, რაც პირდაპირ არის მიკუთვნებადი საქონლის შემენაზე. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

საოპერაციო იჯარა

როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს ისეთ საიჯარო ხელშეკრულებებში, რომლის დროსაც კომპანიას არ გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველანაირი რისკი და სარგებელი, იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში იჯარის მთლიან ვადაზე, დარიცხვის წრფივი მეთოდით. საიჯარო ვადა წარმოადგენს იმ არაგაუქმებად პერიოდს, რომლისთვისაც გაფორმებულია ხელშეკრულება იმ პერიოდთან ერთად რომლისთვისაც მოიჯარეს აქვს უფლება გააგრძელოს აქტივის იჯარა დამატებითი გადასახდელებით ან მათ გარეშე იმ შემთხვევაში, რომ ხელშეკრულების დადებისას მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გამოიყენებს აღნიშნულ უფლებას. კომპანიას არ აქვს შეუქცევადი იჯარები.

დაზღვევა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს რომლებიც არ იბეგრება, ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებასთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რაც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა. შესაბამისი ვალდებულება აღიარებულია ანარიცხებში.

შემდგომი დანახარჯები ჩაითვლება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა აღნიშნული ხარჯის გაწევა.

აქტივის ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ მაშინ, როდესაც ის იმყოფება იმ ადგილას და ისეთ პირობებში, რომელიც აუცილებელია მისი გამოყენებისთვის იმ სახით, როგორც ხელმძღვანელობას ჰქონდა განზრახული. ცვეთა არ წყდება აქტივის მწყობრიდან გამოსვლის ან არ გამოყენების შემთხვევაში, მანამ, სანამ იგი სრულად არ იქნება ამორტიზებული. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის:

სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)

ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-5
ოფისის აღჭურვილობა	4
სატრანსპორტო საშუალებები	7
სპეცტექნიკა	7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
სხვა	3-10

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველ საანგარიშო პერიოდში, რათა შეფასდეს საბალანსო ღირებულება აღემატება თუ არა შესაბამისი აქტივის აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და ჩაირთვება საოპერაციო ხარჯებში.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. სავაჭრო მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი.

გაუფასურების რეზერვის შექმნის საჭიროება წარმოიშობა მაშინ როდესაც ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ამ თანხების სრულად მიღებას თავდაპირველი გადახდის პიოზების მიხედვით.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები

ანარიცხის აღიარება ხდება, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად; მოსალოდნელია, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის ოდენობას წარმოადგენს იმ თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, რომელიც განისაზღვრება დაბეგვრამდე განაკვეთით და ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რისკებს. ანარიცხის ზრდა დროის პერიოდის გასვლის გამო აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ანარიცხის აღიარება არ ხდება სამომავლო საოპერაციო ზარალებისთვის.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- ▶ აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- ▶ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- ▶ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც განსაზღვრულია მსს ფასს - ით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

პირს ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მსს ფასს – 2015 წ. მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება განსჯის შედეგად მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებელი გამოიყენება მოხმარების დროს. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დამველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა წარჩენ მომსახურების ვადას განსაზღვრავს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და აფასებს რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებსა და ტექნიკურ მომსახურებაზე; და გ) ტექნიკური ან კომერციული დამველება, რომელიც გამომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებებისაგან.

ბემონი ინჟინერია და მშენებლობა

პანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

რთულ ღირებულება

ძირითადი საშუალებები

რითადი საშუალებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს:

სტორიული ღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სპეცტექნიკა	ოჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	ჯამი
22 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-
ძენა	84,022	94,488	789,822	795,539	232,558	49,975	2,046,404
22 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	84,022	94,488	789,822	795,539	232,558	49,975	2,046,404
ძენა	8,792	24,314	108,595	8,290	13,369	231,850	395,210
მოწერა	-	(1,168)	(107,811)	-	-	(4,140)	(113,119)
23 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	92,814	117,634	790,606	803,829	245,927	277,685	2,328,495
აგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
22 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-
ვის ცვეთის დარიცხვა	(5,454)	(1,699)	(30,261)	-	(2,100)	(1,011)	(40,525)
22 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(5,454)	(1,699)	(30,261)	-	(2,100)	(1,011)	(40,525)
ვის ცვეთის დარიცხვა	(22,201)	(22,516)	(114,513)	(113,992)	(23,938)	(46,082)	(343,242)
მოწერა	-	58	17,969	-	-	28	18,055
23 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(27,655)	(24,157)	(126,805)	(113,992)	(26,038)	(47,065)	(365,712)
ტო საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-	-
22 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-
22 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	78,568	92,789	759,561	795,539	230,458	48,964	2,005,879
23 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	65,159	93,477	663,801	689,837	219,889	230,620	1,962,783

23 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ისევე როგორც 2022 წლის 31 დეკემბრის) კომპანიას არ ჰქონია სრულად გაცემილი ძირითადი საშუალებები. 2023, 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სატრანსპორტო საშუალებები და სპეცტექნიკა დატვირთულია თიბისი ლიზინგისგან მიღებული სალიზინგო ვალდებულების არგებლოდ.

მპს ბემონი ინჟინერია და მშენებლობა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

6. მარაგები

მარაგები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს:

	12/31/2023	12/31/2022
საქონელი	3,192,203	18,091
ნედლეული	477,748	3,601
საწვავი	43,718	5,448
აღჭურვილობა	15,450	7,397
სულ მარაგები	3,729,119	34,537

7. საგადასახადო აქტივი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს ნეტო საფუძველზე როგორც აქტივს, 184,723 ლარის ღირებულებით.

8. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს:

	12/31/2023	12/31/2022
გადახდილი ავანსები იურიდიულ პირებთან ლარში	10,588,015	45,464
გადახდილი ავანსები იურიდიულ პირებთან ვალუტაში	598,268	28,268
გადახდილი ავანსები მომსახურე ფიზიკურ პირებთან	-	13,776
სულ გადახდილი ავანსები	11,186,283	87,508

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2023	12/31/2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან *	664,759	516
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	36,057	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	700,816	516

(*) მოთხოვნების ძირითადი ნაწილი მოიცავს ერთ საკონტრაქტო ხელშეკრულების მომსახურებასთან დაკავშირებულ თანხას.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები / შეზღუდული ფულადი სახსრები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს:

	12/31/2023	12/31/2022
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	552,800	2,961,231
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	81,045	2,274,173
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	633,845	5,235,404

გარდა ზემოთაღნიშნულისა კომპანიის ფულადი სახსრები შედგება საქართველოს ბანკში განთავსებულ შეზღუდული ფულადი სახსრებისგან, რომელიც შეადგენს 578,716 დოლარს 1,529,505 ეკვივალენტით ლარში.

11. საწესდებო კაპიტალი

2023 წელს განმავლობაში საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 260,340 ლარის ოდენობით, შესაბამისად 2023 წლის დასრულებული წლისთვის კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 471,200 ლარსს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 210,860 ლარს. კომპანიას 2023 და 2022 წლის განმავლობაში არ განუცხადებია დივიდენდი.

პს ბეზონი ინჟინერია და მშენებლობა
 კინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 (აროულ ღარში)

2. მიღებული სესხები

იღებული სესხები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს:

სესხის დასახელება	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
არადაკავშირებული მზარეობისგან: შპს პროცედერი, 405553823	7%	აშშ დოლარი	23-აგვ-22	14-აგვ-26	(2,046,060)	1,923,253
სულ მიღებული სესხები					(2,046,060)	1,923,252

	2023	2022
საწყისი ნაშთი	1,923,252	-
სესხის მიღება	-	1,927,312
საკურსო სხვაობა	(6,197)	(36,550)
პროცენტის დარიცხვა	129,005	32,490
საბოლოო ნაშთი	2,046,060	1,923,252

3. მიღებული ავანსები

023 წელს მიღებული ავანსები შედგება 4 კონტრაგენტისგან მიმდინარე პროექტების ფარგლებში, რომლის ნაშთიც 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 12,656,167 ლარს, ხოლო 2022 წელს 679,729 ლარს, რომელიც შედგება ერთი კონტრაგენტისგან მიმდინარე პროექტის ფარგლებში მიღებული ავანსისგან.

შპს ბემონი ინჟინერია და მშენებლობა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს:

	12/31/2023	12/31/2022
სალიზინგო ვალდებულება	1,337,390	2,568,178
სავაჭრო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	269,063	1,230,225
სავაჭრო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	73,774	135,106
გადასახდელი ხელფასი	1,054	42,801
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,681,281	3,976,310

15. შემოსავლები

შემოსავლები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შედგება:

	2023	2022
მშენებლობა	10,075,426	409,388
მოწყობილობის რეალიზაცია	-	13,336,960
მოწყობილობის ინსტალაცია და მონტაჟი	-	143,015
სხვა	231,163	-
სულ შემოსავლები	10,306,589	13,889,363

16. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება 2023 და 2022 წლებისთვის შეადგენს:

	2023	2022
მშენებლობა	4,702,059	203,500
რეალიზებული მოწყობილობის ღ-ბა	206,129	11,415,806
ცვეთა	167,267	2,182
ინსტალაცია და მონტაჟი	-	545,880
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	5,075,455	12,167,368

17. თანამშრომელთა კომპენსაცია

თანამშრომელთა კომპენსაცია 2023 და 2022 წლის მიხედვით შეადგენს:

	2023	2022
თანამშრომელთა კომპენსაცია	1,425,568	385,462
თანამშრომელთა სხვა სარგებელი	179,032	11,602
სულ თანამშრომელთა კომპენსაცია	1,604,600	397,064

მპს ბემონი ინჟინერია და მშენებლობა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 და 2022 წლის მიხედვით შეადგენს:

	2023	2022
ცვეთა და ამორტიზაცია	175,974	38,343
იჯარის ხარჯი	118,927	49,435
წარმომადგენლობითი ხარჯი	106,546	24,026
მივლინების ხარჯი	61,821	-
საწევროს ხარჯები	54,987	-
იურიდიული მომსახურების ხარჯი	47,389	27,967
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	36,000	-
საწვავი	35,304	23,151
დაზღვევის ხარჯი	29,153	5,083
პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურება	17,160	6,366
კომუნიკაციის ხარჯები	16,601	3,049
სხვა საგადასახადო ხარჯი	13,362	26,720
საოფისე ხარჯი	10,440	1,197
საკანცელარიო ხარჯი	9,922	12,132
რეკლამის ხარჯი	8,001	41,722
ბანკის მომსახურების ხარჯი	6,120	2,652
ავტომობილის რემონტის ხარჯი	4,315	3,117
საკანცელარიო ხარჯი	3,486	3,217
საკომისიო ხარჯი	1,564	10,981
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	-	9,235
სხვა ხარჯი	46,378	16,154
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	803,450	304,547

19. საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება / (ზარალი)

საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება / (ზარალი) 2023 და 2022 წლებისთვის შეადგენს:

	2023	2022
დადებითი საკურსო სხვაობა	961,988	161,449
ფული და ფულის ეკვივალენტები	306,791	35,988
მიღებული სესხი	176,720	76,765
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	417,585	31,846
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	60,892	16,850
უარყოფითი საკურსო სხვაობა	992,129	344,627
ფული და ფულის ეკვივალენტები	396,197	243,170
მიღებული სესხი	256,108	40,215
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	295,809	42,383
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	44,015	18,859
სულ საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)	(30,141)	(183,178)

შპს ბემონი ინჟინერია და მშენებლობა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2023 და 2022 წლებისთვის შეადგენს:

	2023	2022
ლიზინგი	273,753	48,630
სესხი	129,005	32,490
სულ ფინანსური ხარჯი	402,758	81,120

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია ცხილებში:

		31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
	ურთიერთობა	ბალანსი	ბალანსი
სავაჭრო ვალდებულება		-	79,892
მირცხულავა გიორგი	მფლობელი	-	79,892
		2023	2022
	ურთიერთობა	პერიოდები	პერიოდები
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		6,709	737
მირცხულავა გიორგი	მფლობელი	6,709	737
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		-	1,040
შპს ჰიდროდიაგნოსტიკა	შვილობილი საწარმო	-	1,040
		2023	2022
უმაღლესი პირების ანაზღაურება		242,488	85,723

შპს "ბემონი ინჟინერია და მშენებლობა"-მ 2017 წლის 18 მაისს შეისყიდა შპს ჰიდროდიაგნოსტიკის წილის 52% ნომინალური 1,040 ლარის ფასად, ხოლო 2022 წლის 5 ივლისს გაასხვისა წილი შპს "ჰდ ჯგუფზე" (ს/კ 405543489) უსასყიდლოდ, რომლის საბოლოო მფლობელები არიან ალექსანდრე მირცხულავა (50%) და გიორგი მირცხულავა (50%). თუმცა 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას ჰიდროდიაგნოსტიკასთან ჰქონდა გარკვეული ტრანზაქციები.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 31 მაისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ დაიწყო რამდენიმე ახალი პროექტი:

- მარნეულის მზის ელექტრო სადგურის პროექტი: ღირებულება - დღგ-ს გარეშე 31,000 ევრო;
- ავტოტრანზფორმატორების მიწოდება და შეფუთვა სს „გარდაბანი 500“-ში: ღირებულება - დღგ-ს გარეშე 2,600,278 დოლარი;
- „კასლეთი 1“ ჰესის ქსელზე მიერთების პროექტირება: ღირებულება - 98,500 ლარი დღგ-ს გარეშე;
- ყაზბეგის რაიონში ლანდშაფტური მშენებლობის პროექტი: ღირებულება, 1,367,552.10 აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე;
- კასპის 18 მვა ზემო ქარის სადგურის პროექტირება: ღირებულება - 147,000 ლარი დღგ-ს გარეშე;
- „პირველი ქარის სადგურის“ პროექტირება: ღირებულება - 264,560 ლარი დღგ-ს გარეშე;

შპს ბემონი ინჟინერია და მშენებლობა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

- ქ/ს საღერდილიდან ქ/ს იდლიანამდე ელექტროგადამცემი ხაზის პროექტირება - 82,500 ლარი დღგ-ს გარეშე;
- ჟინვალი ჰესის სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაციის პროექტი: ღირებულება -1,614,000 ლარი დღგ-ს გარეშე;

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენებისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა არამაკორექტირებელ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახავს.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 მაისს:

გიორგი მირცხულავა

დირექტორი

ნიკა სესკურია

ფინანსური დირექტორი